

სს „რუსთავის აზოტი“



ქ. რუსთავში სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს
ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

სკრინინგის განაცხადება

ქ. რუსთავი
2023

შინაარსი

1	შესავალი	3
2	საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა და ტერიტორიის დახასიათება.....	4
2.1	საწარმოში ძირითადი ტექნოლოგიური და დამხმარე საქმიანობების აღწერა.....	4
2.1.1	საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერა.....	4
3	საპროექტო ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორიის აღწერა.....	16
3.1	არსებული ბლოკის დასამზადებელი დანადგარი	16
3.2	საპროექტო ბეტონის კვანძი	16
4	ტექნოლოგიური პროცესის დახასიათება.....	18
5	გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ბეტონის კვანძის მოწყობა- ექსპლუატაციის პროცესში ..	20
5.1	ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება	20
5.2	ხმაურის ზემოქმედება.....	21
5.3	ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე.....	21
5.3.1	მცენარეული საფარი	21
5.3.2	ფაუნა.....	22
5.4	ზემოქმედება წყლის გაემოზე	23
5.5	ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	24
5.6	ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე.....	24
5.7	ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	25
5.8	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე...	25
5.9	სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	26
5.10	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	26
5.11	ავარიული რისკები	26
5.12	კუმულაციური ზემოქმედება.....	27
5.13	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	28
6	საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი.....	29
	დანართი 1. ნაკვეთის საკუთრების შესახება ამონაწერი.....	30
	დანართი 2. მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ.....	33

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

სს „რუსთავის აზოტის“ საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. N2-ში. ტერიტორია წარმოადგენს სს „რუსთავის აზოტის“ საკუთრებას (იხ. დანართი 1 - საჯარო რეესტრის ამონაწერი ს. კ. N02.07.01.413). აღნიშნულ ტერიტორიაზე, საწარმო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის N2-224 ბრძანებების საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში, ახორციელებს ქიმიური ნივთიერებების და მინერალური სასუქების წარმოებას ასევე, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციას, ნარჩენების აღდგენას, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ოპერირებას.

არსებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით (ქვეთავი 6.3.4.26. - გვ. 142), საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ბლოკის საწარმო და დაგეგმილი იყო მისი ამოქმედება, თუმცა საწარმოს ადმინისტრაციამ საჭიროებიდან გამომდინარე გადაწყვიტა მის ნაცლად ბეტონის მცირე წარმადობის ქარხანა მოაწყოს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თავი II, მუხლი 5, პუნქტი 12 -ის მიხედვით: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	სს „რუსთავის აზოტი“
დირექტორი	ლ. ბურდილაძე
კომპანიის მისამართი	ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. N2
საიდენტიფიკაციო კოდი	404519794
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. N2
საქმიანობის სახე	ქიმიური მრეწველობა (საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება)
ელექტრონული ფოსტა	info@rustaviazot.ge
საკონტაქტო პირი	გოჩა ქართლელიშვილი, თემურ თავბერიძე
საკონტაქტო ტელეფონი	577 41 83 38 (გოჩა ქართლელიშვილი) 577 59 57 92 (თემურ თავბერიძე)

2 საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა და ტერიტორიის დახასიათება

2.1 საწარმოში ძირითადი ტექნოლოგიური და დამხმარე საქმიანობების აღწერა

2.1.1 საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერა

სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმო არის 1951 წელს შექმნილი საწარმო, რომელიც განთავსებულია ქალაქ რუსთავში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (II და III ტერასებზე), ქ. რუსთავის გარეუბანში. ტერიტორიიდან (საკადასტრო საზღვრიდან) უახლოესი საცხოვრებელი ზონა, სოფ. თაზაქენდი დაშორებულია 1740 მ-ით, ხოლო საპროექტო ბეტონის კვანძის განთავსების წერტილიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 1880მ-ით.

საწარმოს ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრება შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს და შპს „ვირტუოზი“. საწარმოდან დაახლოებით 300 მ მანძილზე მდებარეობს შპს „ბაზალტ ფაიბერი“, ხოლო 600 მ მანძილზე შპს „ფილიმასკა ჯი“. საწარმოდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 800 მეტრის დაშორებით განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ ფოლადსადნობი საწარმო, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით იმავე მანძილით დაშორებულია ყოფილი ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, სამხრეთით, დაახლოებით 1200 მეტრში მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხანა, ამასთან თითქმის იმავე მანძილით არის დაშორებული შპს „ჯეოსთილის“ საწარმო. საწარმოდან 662 მ მანძილზე განთავსებულია შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია“-ს ნავთობბაზა.

საწარმოს ტერიტორიაზე არის რამდენიმე გასხვისებული საამქრო, რომელთა მფლობელები არიან შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“, შპს „ვირტუოზი“ და შპს „ოფიცინა“.

შპს „ვირტუოზმა“, ზემოაღნიშნული ტერიტორია შეისყიდა ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის მიზნით, თუმცა საწარმოს, გასხვისების მომენტიდან დღემდე არ უმუშავია, შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“ აწარმოებს მანგანუმის ოქსიდს, ამასთანავე თავის ტერიტორიაზე გეგმავს გოგირდმჟავას და მანგანუმის სულფატის წარმოებას, შპს „ოფიცინა“ აწარმოებს გამოხდილ წყალს.

საწარმოდან უახლოესი ავტომაგისტრალი, რუსთავი-ჯანდარა გადის დაახლოებით 550 მეტრში (ადმინისტრაციული კორპუსიდან), უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი გაედინება 3 კმ-ზე მეტ მანძილზე, ხოლო ე. წ. მარის არხი - საწარმოს სამხრეთით, საწარმოს საზღვრიდან დაახლოებით 400 მეტრში.

საწარმოში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადამიანი. საწარმო ფუნქციონირებს მუშაობის უწყვეტ რეჟიმში, რამდენიმე ცვლად, 12 საათიანი, 24 საათიანი და 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოში დასაქმებული ადამიანების სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება მათზე დაკისრებული

მოვალეობების შესაბამისად. საოფისე და ადმინისტრაციული კადრებისთვის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება მხოლოდ დღის ცვლაში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ტექნოლოგიურ პროცესებში დასაქმებული ადამიანებისთვის, სამუშაო გრაფიკი დამოკიდებულია ბრიგადების რაოდენობაზე. 4 ბრიგადიანი საამქროებისთვის სამუშაო რეჟიმი, დღის განმავლობაში შეადგენს 12 საათს, 5 ბრიგადიანი საამქროებისთვის 7 საათს, ხოლო ზოგიერთ საამქროში, ერთი ცვლის სამუშაო რეჟიმი 24 საათიანია. თითოეული დასაქმებულისთვის, კვირის განმავლობაში, სამუშაო საათების რაოდენობა არ აღემატება 40-42 სთ-ს.

საწარმოს ტერიტორიაზე, შიდა საავტომობილო გზებისა და ადმინისტრაციული კორპუსების მიმდებარედ, სადაც ეს შესაძლებელია, მოწყობილია გაზონები, ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეებითა და ბალახით. საწარმოში სისტემატიურად მიმდინარეობს აღნიშნული გაზონების მოვლა-პატრონობა.

დღეის მდგომარეობით, საწარმოს ტერიტორიაზე მდებარეობს როგორც მოქმედი, ასევე გაუქმებული საამქროები, ამასთან ზოგიერთი გაუქმებული საამქრო წარმოდგენილია მხოლოდ შენობების კონსტრუქციების სახით, რომლებშიც არ არის განთავსებული ტექნოლოგიური მოწყობილობები.

მოქმედი საამქროები შედგება როგორც ძირითადი ტექნოლოგიური ხაზებისგან. ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტებისგან, რომელთა გარეშე საწარმოში შეუძლებელია ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა.

სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიურ საწარმოში ფუნქციონირებს რამდენიმე საამქრო, კერძოდ:

- **ამიაკის საამქრო**, რომელშიც მიმდინარეობს ამიაკის სინთეზი;
- **სიცივის საამქრო**, რომელშიც მიმდინარეობს აორთქლებული ამიაკის დაკონდენსირება, დასაწყობება და მომხმარებელზე გაცემა, ასევე, ამიაკის წყლის მიღება;
- **აზოტმჟავას საამქრო**;
- **ამონიუმის გვარჯილას საამქრო**;
- **კაპროლაქტამის საამქრო**, რომელშიც დღეის მდგომარეობით შეწყვეტილია კაპროლაქტამის წარმოება, თუმცა ნედლი ლაქტამის განყოფილებაში მიმდინარეობს ციანმარილებში მიღებული არანაკლებ 30 %-იანი ამონიუმის სულფატის ნეიტრალიზაცია და შემდეგ, ამონიუმის სულფატის განყოფილებაში, ამონიუმის სულფატის მიღება. გარდა ამისა, ჰიდროქსილამინოსულფატის განყოფილებაში ხდება მაგნეზიტის წყალ-ხსნარის წარმოება. კაპროლაქტამის საამქროში განთავსებულია ფუნგიციდების განყოფილება, რომელშიც მიმდინარეობს სპილენძის სულფატის (შაბიამანი) კრისტალჰიდრატის წარმოება;
- **ციანმარილების საამქრო** (ციან მჟავას განყოფილება და სულფატციანმარილების განყოფილება)
- **ორთქლის წარმოების საამქრო** (საქვებე საამქრო);
- **ორთქლმომარაგების საამქრო**;

ზემოაღნიშნულ საამქროებში გამოყენებული ნედლეულისა და მათში წარმოებული მზა პროდუქციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზშ-ს მე-4 დანართში.

სს „რუსთავის აზოტი“-ს საქმიანობა მრავალფუნქციური და მრავალფეროვანია, ტერიტორია დიდი ფართობისაა და მასზე განთავსებულია მრავალი შენობა ნაგებობა, რაც გზშ-ს ანგარიშშია აღწერილი და მიზანშეწონილად არ მივიჩნით წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში იმ დეტალური და სრული ინფორმაციის გადმოტანა რასაც მოიცავს გზშ-ს ანგარიში.

ზემოაღნიშნული საამქროების გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საწარმოს ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, კერძოდ: ჟანგბადის საწარმო; ზეთების მეურნეობა; ზეთების გაფილტვრის და რეგენერაციის პუნქტი; კონდენსაციური ელექტროსადგური; მოწყობილობების სპეც-შემკეთებელი საამქრო; სარემონტო-მექანიკური საამქრო; სამეურნეო საამქრო; სარემონტო-სამშენებლო-სამეურნეო საამქრო, სადაც შედის სპეც. ტანსაცმლის სამრეცხაო უბანი; ელ. შემკეთებელი საამქრო; ელ. მომარაგების საამქრო; წყალმომარაგების საამქრო; საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილება, რკინიგზის საამქრო; რკინიგზის ვაგონების სამრეცხაო უბანი; საზომ საკონტროლო ხელსაწყოების და ავტომატიზაციის (სსხ-ს და ა-ს) საამქრო; ავტოსატრანსპორტო, საწვავის ავტოგასამართი სადგური; გაზ-გასამართი სადგური; შემკეთებელ-სამშენებლო საამქრო; ანტიკოროზიული საამქრო; პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ტომრების ნარჩენების გადამამუშავებელი და ტარა-შესაფუთი მასალების წარმოების საამქრო; საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი, რომელიც შესაძლებელია 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის განთავსება - 2 ერთეული (ერთი არსებული, ერთი საპროექტო); საწარმოში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი; 50 ტონამდე არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი, ღია ტიპის სასაწყობე მეურნეობა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა არა-გაბარიტული დანადგარები; სასაწყობე მეურნეობა; გვარჯილას ღია სასაწყობე მოედნები; მზა პროდუქციის გაყიდვის უბანი; მშრალი ყინულის განყოფილება; ჟანგბადითა და აზოტით ბალონების შევსების უბანი და ა.შ.

საწარმოს ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციული კორპუსი, სამედიცინო სამსახური, სახანძრო, აირ-მაშველი, ცენტრალური ლაბორატორია, ენერგეტიკული და

მექანიკური განყოფილებები, სანიტარული ლაბორატორია და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა.

ზემოაღნიშნული ობიექტების განლაგების სქემა იხილეთ 2.1.1.1. და 2.1.1.2 ნახაზზე (საწარმოს გენ-გეგმა - რომელზეც მოცემულია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტი). აღნიშნულ ნახაზზე ასევე ნაჩვენებია ინსინერაციის საწარმოს განთავსების და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და წინასწარი დამუშავების უბნები. საწარმოს გენ-გეგმა, საამქროების ექსპლიკაციით, მოცემულია გზშ-ს მე-2 დანართში.

სს „რუსთავის აზოტს“ ასევე გააჩნია ტექნიკური წყლის დამუშავების პროცესში წარმოქმნილი შლამის შემკრები უბანი, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რეგიონში მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. საწარმოში წარმოქმნილი შლამები გარდაბნის შლამ-შემკრებში იტუმბება სპეციალური ტუმბოებისა და მილსადენების საშუალებით.

საწარმოს ტერიტორიის ხედი მოცემულია 2.1.1.1. სურათზე.


სურათი 2.1.1.1. საწარმოს ტერიტორიის ზოგადი ხედები



ნახაზი 2.1.1.1. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური რუკა




ნახაზი 2.1.1.2. საწარმოს გენ-გეგმა (დეტალური გეგმა გაფართოებულ ფორმატში, საამქროების მიხედვით და ექსპლიკაციით მოცემულია გზმ-ს მე-2 დანართში).



შენიშვნა: საპროექტო ბეტონის კვანძის მოწყობა დაგეგმილია სამშენებლო - სარემონტო საამქროს (#19) მიმდებარედ

ნახაზი 2.1.1.3. საწარმოს გენ-გეგმა, ემისიების წყაროების მითითებით



3 საპროექტო ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორიის აღწერა

3.1 არსებული ბლოკის დასამზადებელი დანადგარი

ბეტონის კვანძისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ამჟამად განთავსებულია ბლოკის წარმოების დანადგარი (იხ. სურათები 3.1.1.-3.1.4.). კომპანიის მიერ იგეგმებოდა აღნიშნული საწარმოს ამოქმედება, თუმცა სს „რუსთავის აზოტის“ ტერიტორიაზე არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება მცირე ბეტონის საწარმოს მოწყობაზე.

ამჟამინდელი ბლოკის დასამზადებელი დანადგარის განთავსების ტერიტორია სწორია, განვითარებულია ბალახეული მცენარეულობა, ბუჩქოვანი და ხე მცენარეული საფარი არ არის წარმოდგენილი, მიმდებარე ტერიტორიაზე ხარობს თუთის რამდენიმე ხე და მოწყობილია ვაზის ტალავერი.

ნაკვეთზე განთავსებულია პანდუსი და ბლოკის საწარმოო დანადგარი, რამდენიმე წერტილზე შეგროვილია ხის ნარჩენები და პადონების ნარჩენები ასევე, ტომრები და მცირე რაოდენობით პოლიეთილენის შესაფუთი ნარჩენები, აქვე განთავსებულია ბორდიულის ბეტონის ნაკეთობები, რომელიც წარმოადგენს სამშენებლო დაუზიანებელ მზა მასალას და გამოიყენება სამომავლოდ საჭიროებისამებრ. მშენებლობამდე მოხდება მცირე რაოდენობით ნარჩენებისა და სამშენებლოდ ვარგისი ბორდიურების გატანა ტერიტორიიდან. ბლოკის დასამზადებელი დანადგარი გადაიტანება სხვა ტერიტორიაზე დროებით, ხოლო საბოლოოდ გავა ტერიტორიიდან. პანდუსის დაშლა არ არის დაგეგმილი, ვინაიდან ბეტონის კვანძისთვის გამოიყენება, ბუნკერში ქვიშა-ხრემის ჩატვირთვისათვის.

ბეტონის კვანძისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის გვერდით დაახლოებით 20 მეტრში გადის სალიანდაგო ხაზი. ტერიტორიის მჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა იხილეთ ქვემოთმოყვანილ სურათებზე.



ბლოკის დანადგარი

სურათი 3.1.1. სამშენებლო ბლოკის დანადგარი



ხის და პოლიეთილენის ნარჩენი: პადონი, ტომარა

სურათი 3.1.2. ხის და შესაფუთი ნარჩენები



ბეტონის ბორდიური და ხის ნარჩენი

სურათი 3.1.3. ბეტონის კვანძის განთავსების ადგილი



ლიანდაგი

პანდუსი

სურათი 3.1.4. ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორია

3.2 საპროექტო ბეტონის კვანძი

საპროექტო ბეტონის საწარმოს მოწყობა გადაწყდა სს „სუსთავის აზოტის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე საჭირო სამშენებლო სამუშაოების მზა ბეტონით მოსამარაგებლად.

ბეტონის დასამზადებლად გამოიყენება ცემენტი, ქვიშა-ხრეში და წყალი. საწარმოო მასალები (ცემენტი, ქვიშა-ხრეში) ტერიტორიაზე შემოვა მზა სახით, რომელსაც კომპანია შეიძენს ახლოსმდებარე, რუსთავის ტერიტორიაზე არსებული საწარმოებიდან (მაგ: მიმდებარედ, 1.5 კმ-ში არსებული ჰაიდელბერგ ჯორჯიას ცემენტის საწარმო).

საწარმოსთვის გამოყოფილი მიწის ფართობი შეადგენს 1700 მ². შემოტანილი ცემენტი და ინერტული მასალა პირდაპირ ჩაიტვირთება სილოსებში და ბუნკერებში. ტერიტორიაზე ინერტული მასალის სანაყარო არ იქნება.

სამუშაო ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღეღამეში შეადგენს 8 სთ-ს ხოლო წელიწადში 333.3 სთ. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 10 000 მ³, ბეტონს წელიწადში. დღიური წარმოება იქნება 240 მ³, ხოლო საათში იგეგმება 30მ³ ბეტონის გამოშვება.


საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 3 კაცს, რომლებიც იმუშავენ ერთცვლიანი 8 სთ - იანი რეჟიმით.

ბეტონის კვანძის სამშენებლო სამუშაოების დაწყება იგეგმება სათანადო ნებართვების მიღების შემდგომ და გაგრძელდება დაახლოებით 1 – 2 თვე.

ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორიის კუთხის კოორდინატები:

1. X – 504988; Y – 4597403;
2. X – 505025; Y – 4597400;
3. X – 505016; Y – 4597351;
4. X – 504983; Y – 4597356;

სამშენებლო ბლოკის დასამზადებელი დანადგარის გატანის შემდეგ ტერიტორია გასუფთავდება აქ არსებული მცირე რაოდენობის ნარჩენებისგან და მოეწყობა ბეტონის საძირკველი/სადგამი ბეტონის კვანძის შემადგენელი აგრეგატებისათვის (იხ. სურათი 3.2.1)



სურათი 3.2.1. ბეტონის კვანძის პარამეტრები და საძირკველები



ნახაზი 3.2.1. ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორია




ნახაზი 3.2.2. ბეტონის კვანძის განთავსების წერტილი სს რუსთავის აზოტის ტერიტორიაზე

4 ტექნოლოგიური პროცესის დახასიათება

საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები ძალიან მარტივია: ცემენტშიდით შემოტანილი ცემენტი ჩაიტვირთება სილოსებში, ხოლო ავტოთვითმცლელით შემოტანილი ინერტული მასალა (ქვიშა-ლორდი) პირდაპირ ჩაიტვირთება სამარაგო ბუნკერებში (4ც). წყალმომარაგებისათვის საწარმო მიერთებული იქნება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემაზე.

ბუნკერებიდან ჩატვირთული ინერტული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით გადავა შემრევი აგრეგატში, ავტომატურად დახურული ხრახნული კონვეიერით დაემატება ცემენტი სილოსებიდან და დოზირებით წყალი. შემრევი აგრეგატი მოამზადებს ბეტონის ხსნარს და ავტომატურად ჩაიტვირთება ბეტონშიდში.

პროცესები იმართება ავტომატურად სამართავი ჯიხურიდან „პულტის“ მეშვეობით. საწარმოს ფუნქციონირებას არ ახასიათებს ნარჩენების და ჩამდინარე წყლების წარმოქმნა.



სურათი 4.1. საპროექტო ბეტონის კვანძის ილუსტრაცია.

საწარმოს წლიურ წარმადობად განსაზღვრულია 10 000 მ³ ბეტონი წელიწადში. 1 მ³ ბეტონის ნარევის მოსამზადებლად საჭირო მასალების რაოდენობებია:

- წყალი: 150 ლ;
- ცემენტი: 350 კგ;
- ინერტული მასალა 1800 კგ.

ბეტონის დასამზადებლად წყლის აღება მოხდება არსებული წყალმომარაგების სისტემიდან.

საწარმო შედგება:

- 4ც. 20მ³ მოცულობის ინერტული მასალის ბუნკერისგან;
- ლენტური ტრანსპორტიორისგან;
- ცემენტის 2 ც. 60 ტ სილოსისგან;
- 1 მ³ შემრევი აგრეგატისგან;
- სამართავი პულტისგან;

საწარმოს მაქსიმალური წარმადობაა 60 მ³/საათში. დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური სპეციფიკაციები.

საპროექტო მონაცემების მიხედვით ცემენტის სილოსებს ექნება ქსოვილოვანი ფილტრი, რათა მასში სამარაგო ცემენტის ჩატვირთვისას გამოდევნილი ჰაერი გასუფთავდეს ცემენტის მტვრის ნაწილაკებისგან. თითოეული ფილტრის ეფექტურობა იქნება 99.8 %.

60 M³ ბეტონის ქარხანა

ტექნიკური სპეციფიკაციები

<p>» ბეტონის ქარხნის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">60 მ³ / საათში</div>	<p>» ცემენტის სილოსის რაოდენობა / მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">2 ცალი x 60 ტონიანი</div>
<p>» ნარევის რაოდენობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">60 ნარევი / საათში</div>	<p>» ცემენტის სასწორის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">650 კგ</div>
<p>» მიქსერის მშრალი მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">1 მ³</div>	<p>» დანამატის სასწორის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">50 კგ</div>
<p>» მიქსერის ძრავის სიმძლავრე</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">1 x 37 კვ</div>	<p>» წყლის სასწორის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">500 კგ</div>
<p>» ბუნკერის თვალის რაოდენობა / მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">4 x 20 მ³</div>	<p>» ცემენტის მწეკი</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">2 ცალი / 219 x 10.800</div>
<p>» ბუნკერის სასწორის ლენტა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">12 მტ x 80 სმ</div>	<p>» საჰაერო სისტემა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">500 ლტ / 8 ბარი</div>
<p>» სასწორი ლენტის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">12.000 კგ</div>	<p>» მართვის სისტემა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">სრული ავტომატიური / Telemecanique</div>
<p>» ლოდინის ბუნკერის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">2 მ³</div>	<p>» გადაზიდვის მოცულობა</p> <div style="border: 1px solid black; padding: 2px;">1 ცალი 40 FLAT / 3 ცალი 40 HQ</div>

სურათი 4.2. ბეტონის საწარმოს ტექნიკური სპეციფიკაციები

5 გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ბეტონის კვანძის მოწყობა- ექსპლუატაციის პროცესში

5.1 ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს მოწყობის პროცესში გარემოზე ზემოქმედება გამოწვეული იქნება მოძრავი ტექნიკის გამოყენების, არსებული ბლოკის დასამზადებელი დანადგარის გატანის და შემდგომ ბეტონის კვანძის აგრეგატების სამონტაჟო სამუშაოების, სამშენებლო მასალების შემოზიდვისას.

მასალების შემოზიდვა განხორციელდება ძირითადი საავტომობილო გზით, გადაზიდვების საერთო რაოდენობა იქნება 10-12-მდე, რაც ვერ მოახდენს რაიმე გავლენას სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობაზე.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით მტვრის და ტექნიკის ძრავის მუშაობის შედეგად საწვავის წვის პროდუქტების გაფრქვევა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მცირე მოცულობის გამო სამუშაოები გაგრძელდება მაქსიმუმ ორი თვე.

საწარმოს მოწყობის პროცესში ტერიტორიაზე არ იქნება სტაციონარული გაფრქვევის წყაროები, ერთდროულად იმუშავენ მხოლოდ ერთი ან ორი ტექნიკა (სატვირთო და ამწე), შესაბამისად ატმოსფეროში გამოყოფილი წვის პროდუქტების რაოდენობა იმდენად მცირე იქნება, რომ გარემოზე (მითუმეტეს დასახლებულ პუნქტებზე) რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

ბეტონის კვანძის ფუნქციონირების პროცესში მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ცემენტის და ინერტული მასალის ბუნკერებში ჩატვირთვის პროცესები, მოსალოდნელია მტვრის ნაწილაკების გაფრქვევა ჰაერში, რაზეც უნდა ითქვას, რომ ამავე ადგილას განთავსებული სამშენებლო ბლოკის დანადგარი მსგავსი პრინციპით და მასალების გამოყენებით ფუნქციონირებს (ცემენტი, ინერტული მასალა და წყალი) ესეიგი, ადგილი არ ექნება დამაბინძურებელი ნივთიერებების სახეობრივ ცვლილებას, გაიფრქვევა მხოლოდ მტვრის ნაწილაკები, ხოლო გაფრქვეული მტვრის რაოდენობა არ იქნება მაღალი და განსხვავებული ბლოკის დასამზადებელი დანადგარის გაფრქვევებისაგან, ვინაიდან სილოსები აღჭურვილი იქნება 99.8% ეფექტურობის ფილტრებით, რომლებიც გადატვირთვის პროცესში მოახდენენ მტვრის ნაწილაკების დაჭერას, ხოლო ბლოკის დასამზადებელ დანადგარს მსგავსი არ გააჩნია.

სს „რუსთავის აზოტის“-მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მიხედვით (ქვეთავი 5.26- გ-34) ბლოკის საწარმოს გააჩნია რამდენიმე ემისიის წყარო: სამსხვრევი აგრეგატი, ბლოკის დამამზადებელი აგრეგატი, ბუნკერში ჩატვირთვის და მასალების დასაწყობების პროცესებში. აღნიშნული პროცესებიდან ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მტვრის ნაწილაკები ჯამური რაოდენობით: $M = 0,05$ გ/წმ ანუ $G = 0,374$ ტ/წელ.

საწარმოს მიერ მოწვდილი ინფორმაციით, ბლოკის საწარმოს შემადგენელი აგრეგატების ბეტონშემრევის და სამსხვრევის საპროექტო წარმადობა 10 ტ/სთ-ა, სამუშაო დღეებისა და საათების რაოდენობად განსაზღვრული იყო 335 დღე წელიწადში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, ესეიგი: $10 \times 8 \times 335 = 26\ 800$ ტ/წელ.

აღსანიშნავია, რომ ბლოკის საწარმოს შემთხვევაში, უნდა განხორციელებულიყო სს აზოტის ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობა ნაგებობების დემონტაჟი, რაც თავის მხრივ მტვრისა და ხმაურის ემისიის წყაროა, ნანგრევების მსხვრევა, ცემენტისა და წყლის დამატებით ბეტონის ნარევის მომზადება და შემდგომ სამშენებლო ბლოკის წარმოება. საქმიანობა გაცილებით მასშტაბურია, ემისიების წყაროების სიმრავლით ხასიათდება და წარმადობაც 2-2.5 ჯერ მეტია დაგეგმილი ბეტონის კვანძზე. თუმცა აღნიშნული ბლოკის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტი გაუქმდა და მის ნაცვლად დაგეგმილია 10 000 მ³ წელ. ბეტონის კვანძის მოწყობა. საქმიანობის განხორციელება იგეგმება 8 საათიანი გრაფიკით წელიწადში დაახლოებით 42 დღე (333.3 სთ : 8 სთ-ზე \approx 42 დღე). შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირებულია სამუშაო დღეთა რიცხვიც (დაახლოებით 8 ჯერ).

გარდა ამისა საწარმოო მასალებით (ცემენტი, ქვიშა-ხრეში) მომარაგება განხორციელდება უახლოესი საწარმოებიდან და ადგილზე მსხვრევა არ განხორციელდება, მზა სახით შემოტანილი ქვიშა ხრეში პირდაპირ ჩაიტვირთება სილოსსა და ბუნკერში და ჩამოცლა დასაწყობებით ჰაერზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საპროექტო ბეტონის საწარმოს წარმადობა ძალიან მცირეა 10 000 მ³ ბეტონი წელიწადში, სილოსი აღჭურვილი იქნება მაღალი ეფექტურობის ქსოვილოვანი ფილტრით. ბეტონის საწარმოს სამსხვრევი აგრეგატი არ გააჩნია, ესეიგი მსხვრევა არ მოხდება. აღნიშნულისათვის დაანგარიშებული იქნა მტვრის ემისიის მაქსიმალური რაოდენობები: $M = 0.002285$ გ/წმ, $G = 0.15878$ ტ/წელ. რაც არსებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებში გაწერილთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ გაფრქვეულ ნივთიერებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება.

შესაძლოა დავასკვნათ, რომ დაგეგმილი ცვლილების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ხარისხი არ გაიზრდება. თავის მხრივ განახლება სს „რუსთავის აზოტი“-ს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დოკუმენტი და წარედგინება სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“ შესათანხმებლად.

5.2 ხმაურის ზემოქმედება

ბეტონის კვანძის განთავსების სიახლოვეს, 500 მ-ში, არ არის განთავსებული საცხოვრებელი სახლი, შესაბამისად ხმაურის უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის. უახლოესი მოსახლე საპროექტო ბეტონის კვანძიდან მდებარეობს სოფ. თაზაქენდის ტერიტორიაზე 1880 მ-ში, სადაც ცვლილებით გამოწვეული ხმაური ზეგავლენას ვერ მოახდენს. გარდა ამისა ბლოკის საწარმოო დანადგარისაგან, ბეტონის კვანძის დანადგარები, უფრო მაღალი ხმაურის ემისიით არ გამოირჩევა. ბლოკის საწარმოო დანადგარი მოძველებულია და ნამუშევარი, ხოლო ბეტონის კვანძის აგრეგატები იქნება ახალი, რომელსაც შედარებით დაბალი ხმაურის დონე ექნება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბეტონის კვანძის განთავსების როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურის გაზრდა და მოსახლეობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს განთავსების არეალში არ არის გავრცელებული დაცული სახეობის ფაუნის წარმომადგენლები, მოსაზღვრე ტერიტორიები ათვისებულია და ჩამოყალიბებულია საწარმოო ზონად (სს რუსთავის აზოტი). სავარაუდოა, რომ აღნიშნულ არეალში არ ბინადრობენ ფაუნის დაცული წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

5.3 ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

5.3.1 მცენარეული საფარი

სს „რუსთავის აზოტი“-ს გზმ-ს ანგარიში მომზადებულია 2020 წელს რა დროსაც ჩატარდა დეტალური კვლევა მცენარეული და ფაუნისტური გარემოს აღსაწერად, გზმ-ს მიხედვით ფლორისტული გარემო ასეთია:

საქართველოს ფლორისტიკული დაყოფის მიხედვით, საკვლევი რეგიონი განლაგებულია

ქვემო ქართლის, გარდაბნისა და გარე ქართლის ველებსა და ნახევრადუდაბნოს ზონაში ("საქართველოს ფლორა", 1971-2003). სამხრეთ- აღმოსავლეთიდან ეს ზონა ესაზღვრება მსგავსი ბუნებრივი პირობების მქონე აზერბაიჯანის და სომხეთის მიწებს. ბიოგეოეკოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მტკვარი- არაგვის დაბლობის ნახევრად უდაბნოების ექსტრაზონალური განვითარების ზონაში, რომელიც ჩრდილო- დასავლეთისაკენ თბილისამდეა გადაჭიმული.

საკვლევ რეგიონში ნახევრადუდაბნოს მცენარეულობა ძირითადად გვხვდება მთისწინეთის ჯაჭვში და დაბლობებში; ისინი იზრდება ნაცრისფერ-ყავისფერსა და ყავისფერ - წაბლისფერ ნიადაგებზე (ეგოროვი, ბაზილევჩი, 1976). სხვადასხვა ფლორისტიკული შემადგენლობის ველის მცენარეულობის ფრაგმენტები გვხვდება ბორცვოვან რელიეფზე, სადაც ნიადაგები ნაკლებად მარილიანი და მშრალია.

საველე კვლევის დროს საწარმოს ტერიტორიაზე გამოიყო 1 ჰაბიტატი, რომლებიც EUNIS- ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით იქნა გამოყოფილი, ეს ჰაბიტატია:

- J განაშენიანებული, სამრეწველო ან სხვა ხელოვნური ჰაბიტატები

საწარმოს ტერიტორია მთლიანად შემოღობილია, ეზოს ფარგლებში კი გვხვდება ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეები, მათ შორის: ვაშლი, ყურძენი, ქლიავი, ლეღვი და სხვა.

5.3.2 ფაუნა

ასევე გზშ-ს ფარგლებში ჩატაებული კვლევების მიხედვით საწარმოს განთავსების რეგიონში (საუბარია მთლიანი აზოტის საწარმოს მიმდებარე ტერიტორიებზე) გავრცელებული ფაუნისტური კვლევის შედეგია:

ძუძუმწოვრები

საწარმოს განთავსების რაიონში მტაცებელი ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), დედოფალა (*Mustela nivalis*), კვერნა (*Martes sp.*), მაჩვი (*Meles meles*). მღრღნელებიდან: ციყვი (*Sciurus vulgaris*), ტყის ძილგუდა (*Dryomys nitedula*), ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*), მცირე თაგვი (*Sylvaemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Apodemus fulvipectus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და ა.შ. მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), მცირე თხუნელა (*Talpa levantis*), გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedti*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), ასევე კურდღელი (*Lepus europeus*) და სხვა.

ფრინველები (*Aves*)

საკვლევი ტერიტორიის მაღალი ანთრიპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, აქ ფრინველთა დაცული სახეობების მოხვედრა ნაკლებად სავარაუდოა, ტერიტორიაზე ძირითადად გვხვდება სინანტროპული სახეობები (სახეობები რომლებიც შეგუებული არიან ადამიანის მიერ სახეცვლილ ტექნოგენურ გარემოში ცხოვრებას). მოცემულია ინფორმაცია საწარმოს განთავსების რაიონში აღრიცხული ფრინველთა სახეობების შესახებ. საკვლევ ტერიტორიაზე (საწარმოს მიმდებარე ტერიტორია) დაფიქსირდა ფრინველთა შემდეგი სახეობები: გარეული მტრედი (*Columba livia*), საყელოიანი გვრიტი (*Streptopelia decaocto*), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), შაშვი (*Turdus merula*), შოშია (შროშანი) (*Sturnus vulgaris*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), დიდი წივწივა (*Parus major*), მოლურჯო წივწივა (*Parus*

caeruleus), ჭინჭრაქა (Troglodytes troglodytes), მოყვითალო გრატა (Emberiza citrinella), სკვინჩა (Fringilla coelebs), ჩიტბატონა (Carduelis carduelis), მწვანულა (Carduelis chloris), მინდვრის ბელურა (Passer montanus), სახლის ბელურა (Passer domesticus), ჩხიკვი (Garrulus glandarius), ყორანი (Corvus corax), რუხი ყვავი (Corvus corone), კაჭკაჭი (Pica pica).

საკვლევ ტერიტორიაზე არ გვხვდება დამურებისთვის ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემო.

ზემოთაღნიშნული ფლორისტული და ფაუნისტური გარემო მთლიანი საწარმოს ირგვლივ გავრცელებული და ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორიის ფარგლებში არ გვხვდება მცენარეული საფარი გარდა ბალახეულისა.

ბეტონის კვანძის მოწყობა დაგეგმილია საწარმოო ზონაში (სს რუსთავის აზოტის ტერიტორიაზე), წლების განმავლობაში სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე. მისი მოწყობით ლანდშაფტის ცვლილება მოსალოდნელი არ არის, მითუმეტეს, რომ ამ ადგილას უკვე განთავსებულია ბლოკის საწარმოო დანადგარი და მის ნაცვლად განთავსდება ბეტონის კვანძი, ამ კუთხით ზემოქმედების ზრდას ადგილი არ ექნება.

როგორც ითქვა ტერიტორია და მისი მოსაზღვრე ნაკვეთები თავისუფალია ხე-მცენარეებისაგან, შესაბამისად საწარმოს მოწყობის სამუშაოები არ ითვალისწინებს არც ერთი ხის მოჭრას.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ბეტონის კვანძის მოწყობის ეტაპზე ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის რისკები თითქმის არ არსებობს.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, მცენარეთა სახეობებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესები განთავსდება მკაცრად განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ტერიტორიის გარეთ (იგულისხმება რუსთავის აზოტის ფარგლებს გარეთ) მცენარეთა საფარზე გავლენას ვერ იქონიებს.

მიმდებარედ არსებული ცხოველთა და ფრინველთა სახეობები, რომელიც ყველა სინანტროპულია, შეგუებული არან ანთროპოგენურ გარემოში ბინადრობას, შესაბამისად მათზე დამატებითი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის. საწარმოში არ წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები.

საპროექტო ტერიტორიასა და მის მიდებარედ არ ვლინდება წითელ ნუსხაში შეტანილი ხე მცენარეები და ცხოველების არსებობა, აქედან გამომდინარე ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლოა მივჩნიოდ უმნიშვნელოდ ან ძალიან დაბალი ხარისხის მქონე ზემოქმედებად.

5.4 ზემოქმედება წყლის გაემოზე

საწარმოსა და მდ. მტკვარს შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 3 კმ-ს, ხოლო მარიის არხსა და საწარმოს შორის უახლოესი მანძილი 400 მ-ია. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმო-ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებას ადგილი არ ექნება, შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაცია ზედაპირულ წყლის ობიექტზე პირდაპირ ზემოქმედებას არ ითვალისწინებს.

საწარმოს წყალი ესაჭიროება სასმელად და საწარმოო მიზნით, ბეტონის ნარევის მსამზადებლად. როგორც ითქვა, ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების სისტემიდან მოხდება საწარმოო წყლის აღება.

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო საყოფაცხოვრებო პროცესში წარმოქმნილი ფეკალური წყლები ჩაედინება ქ. რუსთავის არსებულ საკანალიზაციო ცენტრალურ სისტემაში.

საწარმოს ტერიტორიის ნაწილი მოასფალტებულია, ნაწილზე წარმოდგენილია საწარმოს გამწვანების მიზნით გაშენებული გაზონები, ხოლო ნაწილზე - ტექნოგენური ფენა.

გრუნტის წლებზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. გრუნტის წყლების დაბინძურება შესაძლებელია გამოიწვიოს გრუნტის დაბინძურებამ და ატმოსფერული ნალექების გავლენით, დამაბინძურებელი ნივთიერებების ღრმა ფენებში გადატანამ რისი რისკიც ბეტონის კვანძის სპეციპიურობიდან გამომდინარე არ არსებობს, იგი არ მოიხმარს საწვავს და სხვა პოტენციურად დამაბინძურებელ ნივთიერებებს რომელთა დაღვრა სახიფათოა გარემოსთვის.

სხვა სახის ჩამდინარე წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება ბეტონის კვანძის და მისი საწარმოო პროცესებიდან, რითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წყლის გარემოზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

5.5 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ბეტონის კვანძის ტერიტორიაზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები უნარჩენოა, ტექნოლოგიური პროცესის დროს მიღებული ბეტონის ნარევი წარმოადგენს სასაქონლო პროდუქციას, რომელიც გამოიყენება სრულად.

ვინაიდან საწარმო არ წარმოადგენს რთული ტექნოლოგიური პროცესების მქონე ქარხანას, სადაც საჭიროა ნავთობპროდუქტები ან/და სხვა ქიმიური ნივთიერებები. ბეტონის კვანძის ყველა აგრეგატი ელ. ენერჯიაზე იმუშავებს.

მიწის სამუშაოები დაგეგმილი არ არის, ბეტონის კვანძი მოეწყობა ბეტონის მარტივ სადგამებზე, ტერიტორია მოსწორებული და მობეტონებულია, არ საჭიროებს ნიველირებას. ტერიტორიაზე განთავსებული ბლოკის საწარმოო დანადგარი ამავე მდგომარეობაში გავა ტერიტორიიდან და განთავსდება დროებით სხვა ადგილზე შემდგომი დანიშნულებისა და გამოყენების მიზნის მიცემამდე.

მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა.

კომპანია ნარჩენების მართვას ახორციელებს ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მისი კონტრაქტორების დახმარებით. კომპანიას გააჩნიათ შეთანხმებული სათანადო ნარჩენების მართვის გეგმა სადაც გაწერილია ყველა სახის ნარჩენი და მათი რაოდენობები, აღნიშნული ნარჩენების რაოდენობრივ და სახეობრივ ცლილებას არ გამოიწვევს ბეტონის კვანძის მშენებლობა ექსპლუატაცია.

5.6 ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე

საწარმოს ტერიტორიაზე შიდა საწარმოო მისასვლელი გზები მოასფალტებულია, ხოლო:

- ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების ტერიტორიები;
- ღია სასაწყობე მეურნეობები;
- შენობები და მისი მიმდებარე ადგილები;

წარმოდგენილია ტექნოგენური ფენით, ამიტომ, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს.

საწარმოს ტერიტორიაზე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გვხვდება მხოლოდ საწარმოს ტერიტორიის გამწვანების მიზნით მოწყობილ გაზონებზე, სადაც ხელოვნურად არის გაშენებული ხე-მცენარეები და სისტემატიურად მიმდინარეობს მათი მოვლის ღონისძიებები (მორწყვა, გასხვლა, განაყოფიერება და ა.შ.). საწარმოში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობა, არ ითვალისწინებს სპეციალურად მოწყობილ გაზონებზე ზემოქმედებას.

საწარმოს მოწყობა დაგეგმილია წლების განმავლობაში სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებულ ტერიტორიაზე. ამ დრომდე მასზე განთავსებულია საწარმოო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის. შესაბამისად საწარმოს მოწყობით ნიადაგზე რაიმე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება გრუნტის ხარისხზე უარყოფით გავლენას, აღნიშნული მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით, ან/და ნარჩენების არასათანადო მართვით გარემოს დაბინძურების შედეგად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიაზე საწვავის სამარაგო რეზერვუარები არ განთავსდება.

საწარმოში მკაცრად იქნება დაცული ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესები, ტერიტორიაზე არ დაიშვება გაუმართავი და ისეთი სატრანსპორტო საშუალებელი, რომლიდანაც ჟონავს ზეთი.

გრუნტის დაბინძურება შესაძლებელია გამოიწვიოს სახიფათო ან ქიმიური ნივთიერების დაღვრამ და ატმოსფერული ნალექების გავლენით, დამაბინძურებელი ნივთიერებების ღრმა ფენებში გადატანამ, რისი რისკიც ბეტონის კვანძის სპეციპიურობიდან გამომდინარე არ არსებობს, იგი არ მოიხმარს საწვავს და სხვა პოტენციურად დამაბინძურებელ ნივთიერებებს რომელთა დაღვრა სახიფათოა გარემოსთვის.

ამდენად, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების დაცვის შემთხვევაში გრუნტის დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმო, არის 1951 წელს შექმნილი საწარმო მისი მრავალწლიანი ფუნქციონირების პერიოდში, საწარმოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, საშიში გეოლოგიური მოვლენების წარმოქმნა/განვითარებას ადგილი არ ჰქონია. საწარმოს მთლიან ტერიტორია გეოლოგიურად სტაბილურია. დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს გეოლოგიური კუთხით რისკების წარმოქმნას ან ზრდას.

5.7 ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

საპროექტო ბეტონის კვანძის მოწყობისათვის დასაჭირო იქნება ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების (ძირითადად ბეტონის სხნარის და ლითონის კონსტრუქციის) და მანქანა დანადგარების შემოზიდვა. ექსპლუატაციის ეტაპზე ტერიტორიაზე შემოიზიდება საწარმოო მასალა (ქვიშა-ლორღი და ცემენტი), ხოლო შიდა მოხმარებისთვის გამოიყენება მზა პროდუქცია - ბეტონი.

საწარმოდან მზა ბეტონის გატანა არ არის დაგეგმილი, ის გამოიყენება შიდა ტერიტორიაზე სათანადო საჭიროების მიხედვით. ვინაიდან საწარმო მომარაგდება არსებული ახლო ცემენტისა და ქვიშა-ლორღის საწარმოებიდან, ტრანსპორტირების მარშრუტები არ გაივლის მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს (ცემენტის და ქვიშა-ლორღის საწარმოები მდებარეობს სს რუსთავის აზოტის საწარმოს მიმდებარე და მომიჯნავე ტერიტორიებზე, ასევე არსებობს შემოვლითი გზები) აქედან გამომდინარე სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება ძალიან დაბალია.

ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

5.8 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოდან უახლოესი დაცული ტერიტორია - გარდაბნის აღკვეთილი, რომელიც ასევე ემთხვევა „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ მიღებულ საიტს (გარდაბანი - GE000019), მდებარეობს 5 კმ-ზე მეტ მანძილზე, რაც მასზე ზემოქმედებას გამორიცხავს.

სს „რუსთავის აზოტის“ საწარმო მდებარეობს მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე არეალში, სადაც წლების განმავლობაში მიმდინარეობს საწარმოო პროცესები და ამ ტერიტორიაზე რაიმე სახის ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე არ არის მოსალოდნელი.

5.9 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო წარმოადგენს გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნილ საწარმოს, რომელიც მინერალური სასუქების და სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების წარმოების მასშტაბების გათვალისწინებით ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოდ განიხილება, რომლის წვლილი რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სფეროში შესაძლებელია შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი.

საწარმოში დღეისათვის დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადამიანი. კომპანია პერიოდულად მართავს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. გარდა ამისა, კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს სოციალური პაკეტით, რაც გულისხმობს დამატებით საშვებულებო დღეებს, უფასო სანატორიულ დასვენებას, ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტს და სხვა პრივილეგიებს.

გარდა ამისა, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, კომპანიის მენეჯმენტმა შეიმუშავა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა სადაზღვევო კომპანიასთან ერთად და დააზღვია ქარხნის ყველა თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები, რაც დაახლოებით 5 000 ადამიანს შეადგენს.

საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარებისათვის.

საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (დაახლოებით 3 ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითი ქმედებაა და ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იმოქმედებს.

კომპანია ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

5.10 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ავარიული სიტუაციების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქნება დაბალი.

5.11 ავარიული რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ავარიების წარმოქმნის რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვას ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.

ობიექტის ექსპლუატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, ამიტომ არსებობს რისკი ავტომანქანების შეჯახების ერთმანეთთან, ან საწარმოს სტაციონარულ ობიექტებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება ან ხანძარი.

ბეტონის კვანძის საწარმოს ექსპლუატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევასთან. საწარმო შედის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში“, შესაბამისად ვალდებულია ექსპლუატაციის პროცესში გაითვალისწინოს შრომის უსაფრთხოების პირობები, დანიშნოს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, შეადგინოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. თანამშრომლებს სისტემატიურად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი. სახიფათო უბნებზე გამოკრული იქნება გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. აღნიშნული სისტემა სს რუსთავის აზოტს დანერგილი აქვს და ხორციელდება პრაქტიკაში.

ტექნოლოგიური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების რისკი იქნება ძალიან დაბალი და არსებული რისკის დონეები არ იცვლება.

5.12 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედება:

კუმულაციური ზემოქმედება შეფასებულია არსებული გზმ-ს ანგარიშში სადაც აღნიშნულია, რომ: შპს „ემ ენ ქემიკალ ჯორჯიას“ და შპს „სულფეკოს“ საწარმოების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, განსახილველ საწარმოსთან ერთობლივად მუშაობის პირობებში, ატმოსფერულ ჰაერში, კუმულაციური (ჯამური) ეფექტის მქონე ნივთიერებებიდან უნდა განვიხილოთ: აზოტის დიოქსიდი; გოგირდმჟავა; გოგირდის დიოქსიდი; ნახშირჟანგი; შეწონილი ნაწილაკები და არაორგანული მტვერი.

ატმოსფერულ ჰაერში, ემისიების მოდელირების ანგარიშში შესრულდა სს „რუსთავის აზოტის“, შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიას“ და შპს „სულფეკოს“ სრული დატვირვით მუშაობის პირობების

გათვალისწინებით და მიღებული შედეგების მიხედვით, კუმულაციური ეფექტის მქონე მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები არც ნორმირებულ 500 მ საზღვართან და არც უახლოეს დასახლებულ ზონასთან არ აჭარბებს დადგენილ ნორმებს, რაც გვამლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ატმოსფერულ ჰაერში, კუმულაციური ზემოქმედების პირობებში, საცხოვრებელ ზონასთან, ადგილი არ ექნება ნორმით დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბებას.

ბეტონის კვანძის, ისევე როგორც არსებული ბლოკის საწარმოო დანადგარის შემადგენელ ნაწილებსა და პროცესებს ახასიათებთ მხოლოდ მტვრის/შეწონილი ნაწილაკების გამოყოფა, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ადგილი არ ექნება ამჟამად გაანგარიშებული მტვრის ემისიის ზრდას, იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოს სილოსებს ექნებათ მაღალი ეფექტურობის გამწმენდი ფილტრები და სავარაუდოა, რომ ამ მხრივ კუმულაციური ზემოქმედება არ გაიზრდება.

გზმ-ს ანგარიშში ასევე გაანგარიშებულია ხმაურის გავრცელების დონეები უახლოეს საცხოვრებელ პუნქტთან, სადაც აღნიშნულია, რომ კუმულაციური ეფექტით მოსახლეობის ხმაურით შეწუხება არ არის მოსალოდნელი, ხოლო მათი მხრიდან საჩივრები არ შემოსულა. ბეტონის საწარმოო დანადგარები ახალია და თანამედროვე, რომლებიც გამოირჩევა დაბალი ხმაურის ეფექტით, აქედან გამომდინარე არსებული ძველი ბლოკის საწარმოო დანადგართან შედარებით მოსალოდნელია ხმაურის შემცირება და ზემოქმედების ზრდა მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი და შემარბილებელ ღონისძიებებს არ საჭიროებს.

5.13 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6 საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 6.1.

ცხრილი 6.1.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	ბუნებრივი გარემო	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	ძალიან დაბალი უარყოფითი
1.2.	ხმაური	არაა მოსალოდნელი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	არაა მოსალოდნელი
1.5.	წყლის რესურსები	არაა მოსალოდნელი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	არაა მოსალოდნელი
1.9.	კომუნიკაციური ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
1.10	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
2	სოციალურ-ეკონომიკური გარემო	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	ძალიან დაბალი უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	დაბალი დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	დაბალი დადებითი

დანართი 1. ნაკვეთის საკუთრების შესახება ამონაწერი



მიწის (უძრავი ქონების) საკატასტრო კოდი **N 02.07.01.413**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023011322 - 10/01/2023 11:30:23

მომზადების თარიღი
10/01/2023 11:57:32

საკუთრების განყოფილება

ზონა რუსთავი	სექტორი სამრეწველო	კვარტალი	ნაკვეთი
02	07	01	413

მისამართი: ქალაქი რუსთავი , ქუჩა მშვილობა , N 2

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დამუსგებელი ფართობი: 1725667.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **02.07.01.032**;

შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა ნაგებობები N1-
დან 261-ის ჩათვლით, მათ შორის: N1 საერთო ფართობით
645.75 კვ.მ (I სართული 369.73 კვ.მ; სარდაფი 276.02
კვ.მ); N2 საერთო ფართობით 483.62 კვ.მ (I სართული
375.25 კ.მ; სარდაფი 108.37 კვ.მ); N4 საერთო ფართობით
789.51 კვ.მ; N5 1553.95 კვ.მ; N6; N7 1570.44 კვ.მ; N8
1602.01 კვ.მ (I სართული 1305.9 კვ.მ; II სართული 296.92
კვ.მ); N9 416.78 კვ.მ; N10; N11 2158.01 კვ.მ; N16
1264.92 კვ.მ; N21 1359.79 კვ.მ (I სართული - 940.73 კვ.მ;
II სართული - 225.14 კვ.მ; III სართული - 193.92 კვ.მ);
N24 3978.93 კვ.მ (I სართული - 3177.27 კვ.მ; II სართული
- 801.66 კვ.მ); N25 1444.21 კვ.მ (I სართული - 1173.31
კვ.მ; II სართული - 135.45 კვ.მ; III სართული - 135.45
კვ.მ); N26 2031.60 კვ.მ (I სართული - 717.60 კვ.მ; II
სართული - 438 კვ.მ; III სართული - 438 კვ.მ; IV
სართული - 438 კვ.მ); N27 2113.20 კვ.მ; N28 1363.18
კვ.მ; N34 4543.64 კვ.მ; N36 2580.82 კვ.მ; N42 3513.92
კვ.მ; N43 361.76 კვ.მ; N44 672.8 კვ.მ; N45 2335.19 კვ.მ;
N46 11350.76 კვ.მ; N50 2596.52 კვ.მ; N51 3376.47 კვ.მ;
N52 2132.98 კვ.მ; N54 2047.23 კვ.მ; N55 586.01 კვ.მ;
N56 702.72 კვ.მ; N57 2020.52 კვ.მ; N58 1021.9 კვ.მ; N59
653.03 კვ.მ; N63 653.03 კვ.მ; N64 537.57 კვ.მ; N65
1166.25 კვ.მ; N68 2509.87 კვ.მ; N84 871.87 კვ.მ; N86
9317.51 კვ.მ; N88 443.62 კვ.მ; N89 1962.30 კვ.მ; N92
284.19 კვ.მ; N94 6112.69 კვ.მ; N96 1737.56 კვ.მ; N97
1055.25 კვ.მ; N99 864.16 კვ.მ; N101 845.84 კვ.მ; N105
538.39 კვ.მ; N106 5901.04 კვ.მ; N110 313.78 კვ.მ; N111
1793.28 კვ.მ; N120 548.45 კვ.მ; N122 986.46 კვ.მ; 124
5461.85 კვ.მ; N125 2463 კვ.მ; N126 2156.52 კვ.მ; 127
626.84 კვ.მ; N128 7927.09 კვ.მ; N129 5373.09 კვ.მ; N130
8258.5 კვ.მ; N132 2528.74 კვ.მ; N136 3520.46 კვ.მ; N137
3528.89 კვ.მ; N138 6499.83 კვ.მ; N142 1638.55 კვ.მ;
N143 1986.06 კვ.მ; N144 4028.12 კვ.მ; N157 328.37 კვ.მ;
N161 1996.03 კვ.მ; N179 1106.4 კვ.მ; N180 2974.87 კვ.მ;
N183 2251.36 კვ.მ; N184 1019.81 კვ.მ; N189 2058.72
კვ.მ; 190 1980.95 კვ.მ; N191- 2588.92 კვ.მ; N192 6177
კვ.მ; N194 4224.47 კვ.მ; N196 753.89; N199 4246.82
კვ.მ; N200 3518.43 კვ.მ; N202 4397.38 კვ.მ; N203
3045.59 კვ.მ; N204 - 6599.93 კვ.მ; N212- 2411/69 კვ.მ;
N216 - 4645.96 კვ.მ; N217 - 1754.96 კვ.მ; N221 -

1699.24 კვ.მ; N222 - 847.01 კვ.მ; N231 - 377.28 კვ.მ;
N234 - 308.32 კვ.მ; N240 - 2625.3 კვ.მ; 241 - 7154.21
კვ.მ; N248 - 978.32 კვ.მ სამშენებლო დოკუმენტაციის
გარეშე N254, N255 N256, N257, N258, N259, N260,
N261.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022951350 , თარიღი 16/12/2022 15:35:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/12/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რეესტრის ნომერი N221714521, დამოწმების თარიღი 16/12/2022, ნოტარიუსი ნ. ჩუბინიძე

მესაკუთრები:

სააქციო საზოგადოება "რუსთავის აზოტი", ID ნომერი:404519794

მესაკუთრე:

სააქციო საზოგადოება "რუსთავის აზოტი"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882023005637

თარიღი 05/01/2023
19:08:40

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
06/01/2023

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკარი სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;

საგანი: მიწის ნაკვეთი, დამუსტრებული ფართობი: დამუსტრებული ფართობი: 1725667.00 კვ.მ,
მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით;

იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000644867, დამოწმების თარიღი 05/01/2023,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დიკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლესა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნი კური სარეგისტრაციო აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგებეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურის სამსახური
GEORGIA
ARCHITECTURE DEPARTMENT
OF RUSTAVI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 05-3823165194
თარიღი: 14/06/2023

ადრესატი: სს რუსთავის აზოტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404519794
მისამართი: ქ. რუსთავი შვიდობის ქ. 2

თქვენი 12.06.2023 წ. N 19/3823163202-38 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი ს.კ 02.07.01.413 „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად მდებარეობს **საწარმოო ზონა 2-ში(იზ-2)**.

2. სამრეწველო ზონა (იზ-2) -არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მაკვნი საწარმოო პროცესები.

ნებადართული სახეობებია:

- მავნე ზემოქმედების მრეწველობის ობიექტები;
- ფუნქციით განპირობებული ობიექტები.

გობა ძლიერიშვილი

არქიტექტურის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული მტამპი



E-mail: rustavi.municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge
20 kostava ave, Rustavi, Georgia, 3700. Tel: 1300

სს "რუსთავის აზოტი"
შეიქმნა № 4110
ფურცლების რაოდენობა 1/1
დარიღი 16 06 2023